თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 7 დეკემბრის
მორიგი სხდომის
ოქმი № 20

ქ. თერჯოლა

7 დეკემბერი 2022 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. თემური ქოჩიაშვილი, 4. ლაშა გურგენიძე, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ნინო მახათაძე, 9. ომარი ჯიხვაშვილი, 10. ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალი ისაკაძე, 12. ელისო მურადაშვილი, 13. მანუჩარ ფანჩულიძე, 14. გრიგოლ გიორგაძე, 15. გოჩა ვერულაშვილი, 16. დავით გოგბერაშვილი, 17. თამარ ახვლედიანი, 18. ფრიდონ გვენეტაძე, 19. დავით ცხადაძე, 20. ნატალია ასათიანი, 21. რუსუდან კოვზირიძე, 22. როლანდი მესხი, 23. ივანე ჩუბინიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. შალვა ჭანკვეტაძე, 2. ამირან ვერულაშვილი, 3. კახა ბუცხრიკიძე, 4. რამინი რობაქიძე, 5. კობა კირკიტაძე, 6. მერაბი ბასილაძე, 7. ტარიელ ფანჩულიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 23 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო 12 ^{00} სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ^{40} სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N 14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის N 28-282233680 წერილი, 02/12/2022 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ.თერჯოლის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის N 28-282233689 წერილი, 02/12/2022 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2(ორი) წლის ვადით ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის" გადაცემის თაობაზე) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-28223395, 21.11.2022 წ.).

/მომხს. ბადრი ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სტრატეგიის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი - დადგენილება განსაზღვრავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023-2025 წლების გენდერულ პოლიტიკას და გენდერული თანასწორობის მიზნის მისაღწევად პრიორიტეტულ მიმართულებებს.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №22, 07.12.2022 წ.).

2.

მოისმინეს:მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N 14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოებისა და სამუშაოს აღწერილობათა ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ სამსახურის ფუნქციებიდან გამომდინარე შესასრულებელი დავალებები რთული და მრავალფეროვანია. გამომდინარე იქედან , რომ კანონით დასაშვებია მხოლოდ ვაკანტური პოზიციის კორექტირება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევიდეს ცვლილება ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N14 დადგენლებაში და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსაურში არსებული ვაკანტური მე-3 რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა დაკორექტირდეს-გარდაიქმნას მე-3 რანგის პირველი კატეგორიის თანამდებობად.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N 14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №21, 07.12.2022 წ).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომოსიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ.თერჯოლის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი-თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის მიღების მიზანს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალაქ თერჯოლის ტერიტორიის იერსახის, სისუფთავის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ურბანულ გარემოში ადამიანისა და ცხოველის თანაარსებობის უსაფრთხო და საიმედო გარემოს შექმნა.

წესი განაზღვრავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესებს და ამ წესების დარღვევისას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიისა და ა(ა)იპ თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახურის მოქმედების სფეროს.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ.თერჯოლის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №23, 07.12.2022 წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2(ორი) წლის ვადით ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის" გადაცემის თაობაზე) განკარგულების პროექტი - მუნიციპალიტეტის მერიას 2022 წლის 24 ნოემბერს განცხადებით მიმართა ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგმა", რომლითაც ითხოვს თერჯოლის მუნიციპალიტეტში არსებული ამბულატორიების (ჩხარი, კვახჭირი, ზედა ალისუბანი, ღვანკითი, ზედა საზანო, ჭოგნარი) ფართების გადაცემას უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 (ორი) წლის ვადით. ჰოლდინგის მიერ ,,სოფლის ექიმის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოხდება ამბულატორიების შენობების ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესება.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2(ორი) წლის ვადით ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის" გადაცემის თაობაზე) განკარგულების პროექტი(განკარგულება № გ-29.2922341001, 17.12.2022 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 დეკემბრის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი